Funded by the European Union

ევროკავშირი გარემოს დაცვისთვის



განხორციელების ვადა: 01.01.2019 - 31.08.2026

EaP ქვეყნები:
აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველოს, სომხეთი, უკრაინა

ევროკავშირის წვლილი: € 19 500 000

მთლიანი ბიუჯეტი: € 19 500 000

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
UNECE, UNEP, UNIDO, OECD, World Bank

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
facebook.com/EU4EnvironmentMoldova, facebook.com/EU4Environment-100539842031096

პროექტის ვებსაიტები: eu4environment.org

პროექტის აღწერა:

ევროკავშირი გარემოს დაცვისთვის (EU4Environment) მოქმედება მიზნად ისახავს ექვსი პარტნიორი ქვეყნისთვის დახმარების აღმოჩენას ბუნებრივი კაპიტალის შენარჩუნებასა და ადამიანების ეკოლოგიური კეთილდღეობის გაზრდაში, გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ქმედებების ხელშეწყობის, მწვანე ზრდის შესაძლებლობების გახსნისა და დემონსტრირების, გარემოსდაცვითი რისკებისა და გარემოზე ზემოქმედების მართვის გაუმჯობესებული მექანიზმების დადგენის გზით.

ევროკავშირი გარემოს დაცვისთვის ითვალისწინებს გაძლიერებულ თანამშრომლობას, რომელიც რეკომენდირებულია „20 ძირითადი შედეგი 2020 წლისთვის“ 2017 წლის ნოემბრის აღმოსავლეთ პარტნიორების სამიტის ფარგლებში.

მოქმედების განხორციელება მოხდება ხუთი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UN Environment) გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია (UNECE), გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაცია (UNIDO), მსოფლიო ბანკი.

მოსალოდნელი შედეგები:

გარემოს დაცვის და ეკონომიკური მხარეების თავმოყრით, ევროკავშირი გარემოსდაცვისთვის ხელს უწყობს პოლიტიკის შემუშავებას და საკანონმდებლო ცვლილებებს, დაგეგმარებისა და ინვესტიციების „გამწვანებას”, ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების წახალისებას, ახალი ბიზნეს-მოდელების მიღებას, და „მწვანე სამუშაოების“ ჩამოყალიბებას. ასევე, ხელს უწყობს გარემოსდაცვითი
მმართველობის გაუმჯობესებას, დაცული ტერიტორიების და ტყეების მართვის გაუმჯობესებას, და მდგრად ვაჭრობას.